ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 ნოემბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: ლალი ალექსიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- დირექტორი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე **36.01.31.2005** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 ნოემბერის მორიგი სხდომის

ოქმი N 17

2025 წლის 03 ნოემბერი

9 აპრილის ქუჩა #15

დაბა ხარაგაული

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, კობა კვირიკაშვილი, ჟანა ნემსაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, გივი თხელიძე, როინ გელაშვილი, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე , მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკტერინე შველიძე, იზოლდა ვეფხვაძე, ლადიმერ ტალახაძე, გელა მაღრაძე, გრიგოლ ჭიპაშვილი, გურამ კურტანიძე, ბესიკი ტალახაძე, ბესარიონ გრიგალაშვილი, სპარტაკ ლაცაბიძე, მიხეილ ჭიპაშვილი, გივი მაისურაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტრტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ლალი ალექსიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი

ოთარი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- დირექტორი

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის ჟურნალისტი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: ლალი ალექსიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- დირექტორი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და

ქონების მართვის სამსახურის უფროსი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 36.01.31.2005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა

და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 33

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელის ლალი ალექსიძის ანგარიში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს შოთა ბუაჩიძის სახელობის „სამუსიკო სკოლის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა: **ლენა აბაშიძემ, მიხეილ ჭიპაშვილმა**, რომლებმაც საკრებულოს შესთავაზეს ს წინადადება სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ლენა აბაშიძისა და მიხეილ ჭიპაშვილის წინადადება მუსიკალური სკოლის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 33 წევრი.

მომხრე 32,

თავი შეიკავა 1.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ "ხარაგაულის დასუფთავების და კეთილმოწყობის გაერთიანების"- ხელმძღვანელის ოთარი ბანცაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბესიკი კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, ყველაზე დიდი ორგანიზაციაა მუნიციპალიტეტში, მრავალპროფილური ფუნქციით, კარგად მუშაობს სამსახური, მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიაა მოცული, იყო შეკითხვები, გამოიკვეთა ურნების შეძენის აუცილებლობა, კომისია მადლობას უხდის გაწეული საქმიანობისათვის და შემოგვაქვს წინადადება შეფასდეს დადებითად,

მანანა ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა ლაშეში სტიქიის ზონაში მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე გაწეული დახმარებისათვის და ყურადღება გაამახვილა დაბაში არსებული საზოგადოებრივი ტუალეტის მოწესრიგების აუცილებლობაზე და მიუსაფარი ძაღლების საკითხის მოგვარებაზე.

მიხეილ ჭიპაშვილმა საკრებულოს წევრმა „ძლიერი საქართველო ლელო“ - ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ა .ა. ი .პ-ის ბიუჯეტის 99% არის ხელფასები, დანარჩენი საქმისთვის, რაც არ არის საკმარისი,

ეკატერინე შველიძემ საკრებულოს წევრმა „ხალხის ძალა“ მოითხოვა დაბა ხარაგაულში მოჭრილი ნაძვების ადგილზე მწვანე ნარგავების გაშენება,

როინ გელაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ ტავმჯდომარის მოადგილემ, მომხსენებელს სთხოვა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს გაითვალისწინოს სანაგვე ურნების შესაძენი თანხა, ასევე მოსაგვარებელია მყარი ნარჩენების ადგილის გამოყოფის საკითხი, სოფელ წყალაფორეთში ღამის განათების მოწყობის საკითხი.

გივი მაისურაძემ საკრებულოს წევრმა „გახარია საქართველოსთვის“ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ზამთარში დიდთოვლობის დროს ბჟინევში დაიწვა სახლი, გამოვიძახეთ სახანძრო მანქანა, მაგრამ ადგილზე მისვლა ვერ შეძლო, დაზიანდა და უკან წამოვიდა, ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, გზა არ გვაქვს, ხალხს მიეცით დაპირება, რომ გაკეთდება, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ იქნებ გაითვალისწინოთ, რომ ზამთარში საწვავი ადგილზე იყოს მობილიზებული და გათოვლითი სამუშაოების დროს იქნეს გათვალისწინებული სახანძრო მანქანით თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

ვარლამ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ ისაუბრა იმ სამუშაოებზე, რაც ზამთრის პერიოდში იქნა გაწეული მერიის მიერ, ადგილობრივი წარმომადგენლების, და მოსახლეობის საკრებულოს წევრების ჩართულობით. 190 000 ლარის გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა, მოვიძიეთ ყველა სოფელში არსებული ტექნიკა გაფორმდა ხელშეკრულებები და იწმინდებოდა გზები, რაც შეეხება ბჟინევის გზას პროექტი გაკეთებულია და განხორციელდება 2026 წელს.

დავით კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე ბევრ სამუშაოს ასრულებენ და მოგიწოდებთ დადებითი შეფასებისაკენ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 33 წევრი.

მომხრე 32

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლი ნინო მაღლაკელიძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა კომისიის სხდომაზე, სამსახური დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, მთელი დღის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობენ და ეტყობა კიდეც შედეგებს, დადებითად ვაფასებ,

პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გავეცანით ანგარიშს და კარგად დავინახე ის ეფექტიანობა, რაც სამსახურის დამსახურებაა, ნახევარ მილიონზე მეტი თანხა შემოვიდა ბიუჯეტში კარგი ოპერირების შედეგად მადლობა მათ და ვაფასებ დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 33 წევრი.

მომხრე 32

თავი შეიკავა 1

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბესიკი კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნა ინგა არის პროფესიონალი საჯარო მოხელე, დავალებებზე დროულად ახდენს რეაგირებას უდიდესი სამუშაოები აქვს სამსახურს ჩატარებული ინვენტარიზაციის კუთხით, ასევე ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის ზონაში და სხვა, შემოვდივართ წინადადებით სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბესიკი კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 33 წევრი.

მომხრე 32

თავი შეიკავა 1

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 36.01.31.2005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 კ. ვ .მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 33 წევრი.

მომხრე 32

თავი შეიკავა 1

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე